საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2381 2021 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №512 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსთვის არა უმეტეს 2 986 690 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაათი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 826 497 (რვაას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“ განსახორციელებლად;

ა.ბ) 1 469 753 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდაცხრა ათას შვიდას ორმოცდაცამეტი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.გ) 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განსახორციელებლად;

ა.დ) 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.ე) 271 440 (ორას სამოცდათერთმეტი ათას ოთხას ორმოცი) ლარი მიმართული იქნება „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ბ) არა უმეტეს 12 013 310 (თორმეტი მილიონ ცამეტი ათას სამას ათი) ლარისა მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების“ შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**